ტექნიკური დავალება

1. საბავშვო თეთრეულის ნაკრები

1 (ერთი) ერთეული საბავშვო თეთრეულის ნაკრები უნდა შედგებოდეს 1 (ერთი) ერთეული ზეწრისგან და 1 (ერთი) ერთეული საბნის პირისგან („ჩიხოლი“);

პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში მოსაწოდებელი თეთრეულის ყველა ნაკრები (მზა საქონელი/მზა პროდუქტი) მათ შორის - ზეწარი და საბნის პირი დამზადებული უნდა იყოს ერთი და იმავე ქსოვილის მასალისგან, რაც გულისხმობს შემდეგს: გამოყენებული ქსოვილის მასალა უნდა იყოს წარმოებული ერთი და იმავე მწარმოებლის მიერ, ერთსა და იმავე ქვეყანაში, უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე ბრენდი (არსებობის შემთხვევაში) და გააჩნდეს ერთი და იგივე მოდელი (უნიკალური იდენტიფიკატორი - Article / Article No. / Fabric Code / Item Code / Product Code / Style No. / Design Code / Quality No. / Model No.), რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ ქსოვილს უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე შემადგენლობა, ქსოვის ტიპი, გრამაჟი (GSM), სიმკვრივე, შეკუმშვის კოეფიციენტი, ქიმიური უსაფრთხოება და ნაკერის ხარისხი. გამოყენებულ ქსოვილის მასალას უნდა ჰქონდეს ზუსტად ერთი და იგივე ფერი და პრინტი (ყველა მოსაწოდებელი საქონლის ქსოვილის მასალას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საბავშვო თემატიკის პრინტი).

1.1. ტექნიკური მოთხოვნები

ა) თეთრეულის ნაკრებში გამოყენებული ქსოვილის მასალის შემადგენლობა (Composition) - 100% ბამბა.

დადასტურება: ქსოვილის ბოჭკოს შემადგენლობა უნდა დადასტურდეს ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე, ISO 1833 სტანდარტის ან ეკვივალენტური მეთოდის შესაბამისად.

ბ) თეთრეულის ნაკრებში გამოყენებული ქსოვილის მასალის გრამაჟი (Fabric mass / GSM) - ქსოვილის გრამაჟი უნდა იყოს: 125 გ/მ² ±5 გ/მ².

დადასტურება: ქსოვილის მასა ერთეულ ფართობზე უნდა განისაზღვროს ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე, ISO 3801 სტანდარტის ან ეკვივალენტური მეთოდის შესაბამისად.

გ) თეთრეულის ნაკრებში გამოყენებული ქსოვილის მასალის ძაფების სიმკვრივე (Thread density) - ქსოვილის მასალის ძაფების სიმკვრივე უნდა იყოს არანაკლებ **52 threads/cm (warp + weft ჯამურად)**, ამასთან თითოეულ მიმართულებაში (სიგრძეში – warp და სიგანეში – weft) სიმკვრივე არ უნდა იყოს **24 threads/cm-ზე ნაკლები**.

აღნიშნული მოთხოვნა უნდა უზრუნველყოფდეს ქსოვილის გამძლეობას, ერთგვაროვან სტრუქტურასა და მრავალჯერადი რეცხვისას ფორმის შენარჩუნებას.

დადასტურება: ძაფების რაოდენობა ერთეულ სიგრძეზე უნდა განისაზღვროს ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე, ISO 7211-2 სტანდარტის ან ეკვივალენტური მეთოდის შესაბამისად.

დ) თეთრეულის ნაკრებში გამოყენებული ქსოვილის მასალის შეკუმშვა რეცხვის შემდეგ (Shrinkage) - ქსოვილის შეკუმშვა რეცხვის შემდეგ უნდა იყოს არაუმეტეს: 5% სიგრძის მიმართულებით და არაუმეტეს 5% სიგანის მიმართულებით.

დადასტურება: ქსოვილის ზომითი ცვლილება უნდა განისაზღვროს ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე, ISO 5077 სტანდარტის ან ეკვივალენტური მეთოდის შესაბამისად. სარეცხი პროცედურა უნდა შესრულდეს ISO 6330 სტანდარტის ან ეკვივალენტური მეთოდის მიხედვით.

ე) თეთრეულის ნაკრებში გამოყენებული ქსოვილის მასალის ქსოვის ტიპი (Weave) - ქსოვილი უნდა იყოს ბამბის უბრალო ქსოვის (plain weave) ტიპის, Ranforce, Percale ან მათი ეკვივალენტი ქსოვილები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ სიმკვრივისა და გრამაჟის მოთხოვნებს.

დადასტურება: ქსოვის ტიპი და კონსტრუქცია დგინდება ქსოვილის სტრუქტურის ანალიზით ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე, ISO 7211-2 სტანდარტის ან ეკვივალენტური მეთოდის შესაბამისად.

ვ) თეთრეულის ნაკრებში გამოყენებული ქსოვილის მასალის ქიმიური უსაფრთხოება (Chemical safety) - ქსოვილი და მასზე გამოყენებული საღებავები უნდა აკმაყოფილებდეს: OEKO-TEX® Standard 100, Product Class I მოთხოვნებს (ან ეკვივალენტურ უსაფრთხოების სტანდარტს, რომელიც განკუთვნილია ბავშვთა პროდუქციისთვის).

დადასტურება: მოქმედი OEKO-TEX® Standard 100, Product Class I სერტიფიკატით ან აკრედიტებული ლაბორატორიის ტესტის ანგარიშით, რომელიც ადასტურებს, რომ ქსოვილი არ შეიცავს ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს.

OEKO-TEX® Standard 100, Product Class I სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ იგი უნდა იყოს გაცემული იმავე ქსოვილის

მასალაზე, რომელიც გამოყენებულია შემოთავაზებულ პროდუქტში. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს სერტიფიკატისა და კონკრეტული ქსოვილის იდენტიფიკაცია (მათ შორის – Article / Article No. / Fabric Code / Item Code / Product Code / Style No. / Design Code / Quality No. / Model No ან სხვა უნიკალური იდენტიფიკატორის მითითებით/მეშვეობით).

OEKO-TEX® Standard 100, Product Class I სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სერტიფიკატი უნდა ატვირთოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

ლაბორატორიული კვლევის შემთხვევაში ლაბორატორია უნდა ადასტურებდეს, რომ საკვლევი ნიმუში აკმაყოფილებს OEKO-TEX® Standard 100, Product Class I -ის ქიმიურ ლიმიტებს, კერძოდ ლაბორატორიული კვლევა უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ პარამეტრებს:

- აკრძალული აზო საღებავები (EN ISO 14362 ან ეკვივალენტური მეთოდი);
- ფორმალდეჰიდის შემცველობა (ISO 14184-1 ან ეკვივალენტური მეთოდი);
- pH მნიშვნელობა (ISO 3071 ან ეკვივალენტური მეთოდი);
- ფერის მდგრადობა რეცხვაზე - (ISO 105-C06 ან ეკვივალენტური მეთოდი).
- ფერის მდგრადობა ხახუნზე – (ISO 105-X12 ან ეკვივალენტური მეთოდი).

ზ) თეთრეულის ნაკერის ხარისხი - თეთრეულის ნაპირები უნდა იყოს დამუშავებული ისე, რომ ქსოვილი არ იშლებოდეს, იყოს სუფთა, მტკიცე, ერთგვაროვანი და სწორად შესრულებული.

დადასტურება: მზა პროდუქტის ვიზუალური დათვალიერებით.

თ) ზომები - ზეწარი (სიგრძე: 140 სმ, სიგანე: 100 სმ), ჩიხოლი (სიგრძე: 120 სმ, სიგანე: 100 სმ). ზომებში დასაშვებია ±3 სმ ცდომილება.

დადასტურება: ზომები მოწმდება ვიზუალური დათვალიერებისა და გაზომვის გზით.

1.2. მოთხოვნები ნიმუშისა და ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის თაობაზე

პრედენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სატენდერო კომისიას შერჩევა-შეფასების ეტაპზე, სატენდერო კომისიის შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, უნდა წარუდგინოს შემოთავაზებული თეთრეულის ნაკრების (მზა საქონლის/პროდუქტის) ერთი ერთეული ნიმუში, ხოლო აღნიშნულიდან არაუგვიანეს 12 (თორმეტი) სამუშაო დღისა, სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინოს

შემოთავაზებულ თეთრეულის ნაკრებში (მზა პროდუქტში) გამოყენებული ქსოვილის მასალის ექსპერტიზის დასკვნა (დედანი/ორიგინალი).

პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საექსპერტო დაწესებულებას ირჩევს პრეტენდენტი და ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს პრეტენდენტი.

წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით უნდა დგინდებოდეს მზა პროდუქტში გამოყენებული ქსოვილის/მასალის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობა ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან (დანართი N1-ის 1-ლი მუხლის 1.1. პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ (საჭიროების შემთხვევაში) ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან).

ამასთან, ლაბორატორიული კვლევა ჩატარებული უნდა იქნას ზემოაღნიშნული სტანდარტებისა და მეთოდების გამოყენებით, რომლის შესახებ ინფორმაციასა და მითითებებს აუცილებლად უნდა შეიცავდეს ექსპერტიზის დასკვნა.

ექსპერტიზის დასკვნა აუცილებლად უნდა იქნეს გაცემული იმ ქსოვილზე/მასალაზე, რომლითაც დამზადებული იქნება საბოლოო მზა პროდუქტი (საბავშვო თეთრეულის ნაკრები). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიკვლევადობის ჯაჭვის უზრუნველსაყოფად, პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს და უზრუნველყოს, რომ ექსპერტიზის დასკვნას თან უნდა ახლდეს ექსპერტიზაგავლილი ქსოვილის ნაჭერი ზომით არანაკლებ 50X50 სმ (იმ ქსოვილის გაუნადგურებელი, დაუზიანებელი ნაწილი/ნარჩენი, რომელიც საკვლევი ნიმუშის სახით წარდგენილ იქნა ექსპერტიზაზე).

ამასთან, პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ექსპერტიზის დასკვნის ორიგინალი/დედანი ექსპერტიზაგავლილ ქსოვილთან ერთად აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქულ მდგომარეობაში, ერთიან პაკეტად.

პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს და უზრუნველყოს, რომ ექსპერტიზის დასკვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას ექსპერტიზაზე წარდგენილი ქსოვილის მასალის საკვლევი ნიმუშის შესახებ:

- საკვლევი ნიმუშის (თეთრეულის ქსოვილის მასალის) ფერადი, მკაფიო და იოლად გარჩევადი ფოტომასალა;
- საკვლევი ნიმუშის (თეთრეულის ქსოვილის მასალის) მწარმოებლისა და წარმოების ქვეყნის დასახელება;
- საკვლევი ნიმუშის (თეთრეულის ქსოვილის მასალის) მოდელის დასახელება (უნიკალური იდენტიფიკატორი - Article / Article No. / Fabric Code / Item Code / Product Code / Style No. / Design Code / Quality No. / Model No….).

1.3. **მოთხოვნები შეფუთვისა და ეტიკეტირების თობაზე:**

თითოეული თეთრეულის კომპლექტის შემადგენელ ძირითად ელემენტს (ზეწარი, საბნის პირი) უნდა ჰქონდეს მუდმივად დამაგრებული (ჩაკერებული) ნაჭრის იარლიყი (sewn-in label), რომელიც ჩაკერებული უნდა იყოს ნაკერში და შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- გამოყენებული ქსოვილის/მასალის ბოჭკოვანი შემადგენლობა (მაგ.: 100% Cotton);
- მოვლის ინსტრუქცია - სარეცხი და მოვლის სიმბოლოები ან ტექსტური მითითება;
- მზა პროდუქტის მწარმოებლის დასახელება;
- მზა პროდუქტის ბრენდი და მოდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მზა პროდუქტის წარმოების ქვეყანა

ნაჭრის იარლიყი უნდა იყოს დამზადებული რეცხვასა და ექსპლუატაციაზე მდგრადი მასალისგან, ისე რომ ინფორმაცია არ იშლებოდეს და არ ქრებოდეს გამოყენებისას.

თეთრეულის კომპლექტი უნდა იყოს შეფუთული, რომელიც უნდა იცავდეს პროდუქტს მტვრისგან, ტენისგან, დაბინძურებისგან; დაშვებულია შემდეგი ტიპის შეფუთვა:

- პოლიპროპილენის ან პოლიეთილენის პარკი
- მრავალჯერადი პლასტმასის zip ჩანთა
- მუყაოს ყუთი
- ან მათი კომბინაცია

შეფუთვაზე უნდა იყოს დატანილი წებვადი ეტიკეტი, დაბეჭდილი ან ჩასმული საინფორმაციო ბარათი, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- პროდუქტის დასახელება (მაგ.: თეთრეულის კომპლექტი / Bed linen set)
- კომპლექტის შემადგენლობა (მაგ.: ზეწარი, საბნის პირი)
- თითოეული შემადგენელი ელემენტის ზომები
- ქსოვილის ბოჭკოვანი შემადგენლობა
- მზა პროდუქტის მწარმოებლის დასახელება
- მზა პროდუქტის წარმოების ქვეყანა
- პროდუქტის მოდელი / არტიკული / SKU / იდენტიფიკაციის სხვა კოდი (არსებობის შემთხვევაში)

2. საბანი (საბავშვო)

1 (ერთი) ერთეულის საბანი განკუთვნილია ბაღის ასაკის ერთი აღსაზრდელისათვის. საბანი უნდა იყოს მსუბუქი, ჰაერგამტარი, ჰიპოალერგიული, ჰიგიენური და უსაფრთხო ბავშვისთვის.

2.1. ტექნიკური მოთხოვნები

ა) საბნის შალითა (საბნის გარე ქსოვილი, რომელიც შეკერილია შიგთავსთან ერთად გვირისტების სახით და არ სცილდება საბანს გარეცხვის მიზნით) - წინამდებარე ტენდერის ფარგლებში მოსაწოდებელი საბნის შალითა ყველა პარამეტრით იდენტური უნდა იყოს წინამდებარე ტენდერის ფარგლებში მოსაწოდებელი თეთრეულის მასალასთან.

აღნიშნული გულისხმობს, რომ ყველა საბნის შალითა, ყველა ზეწარი და ყველა საბნის პირი დამზადებული უნდა იყოს ისეთი მასალისგან/ქსოვილისგან, რომელსაც ჰყავს ერთი და იგივე მწარმოებელი, წარმოების ქვეყანა, ერთი და იგივე ბრენდი (არსებობის შემთხვევაში), მოდელი (უნიკალური იდენტიფიკატორი - Article / Article No. / Fabric Code / Item Code / Product Code / Style No. / Design Code / Quality No. / Model No.), ტექნიკური მახასიათებლები (მათ შორის - შემადგენლობა, ქსოვის ტიპი, გრამაჟი (GSM), სიმკვრივე, შეკუმშვის კოეფიციენტი, ქიმიური უსაფრთხოება, ნაკერის ხარისხი), ფერი და პრინტი.

დადასტურება: ვიზუალური დათვალიერებით.

აღნიშნული მოთხოვნის მიზანია: ქსოვილის იდენტიფიკაციის გამარტივება, დამატებითი ექსპერტიზის საჭიროების თავიდან აცილება, პროდუქტის ერთგვაროვანი ხარისხის უზრუნველყოფა.

ბ) საბნის შიგთავსი - საბნის შიგთავსი უნდა იყოს დამზადებული 100% პოლიესტერის ღრუ ტიპის (hollow fiber) ჰიპოალერგიული სილიკონიზებული ბოჭკოსგან (siliconized hollow polyester fiber - სილიკონიზებული ღრუ პოლიესტერის ბოჭკო).

დადასტურება: შიგთავსის პოლიესტერის ღრუ ბოჭკოვანი შემადგენლობა (100%) უნდა განისაზღვროს ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე, ISO 1833 სტანდარტის ან ეკვივალენტური მეთოდის შესაბამისად.

აღნიშნული შიგთავსის მასალა არ იკრებს მტვრის ტკიპებსა და ალერგენებს, ინარჩუნებს ფორმას მრავალჯერადი რეცხვის შემდეგ, უზრუნველყოფს ჰაერგამტარობასა და თბოიზოლაციას, განკუთვნილია საბავშვო გამოყენებისთვის.

პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საბნის შიგთავსი უნდა იყოს მექანიკურად დამუშავებული (გაჩეჩილი/დაფაფუკებული – carded/opened), ფაფუკი, ჰაეროვანი, სამგანზომილებიანი (lofted) სტრუქტურით. შიგთავსი უნდა იყოს ბოჭკოების თავისუფალი განაწილებით (loose fiber), არ უნდა იყოს დაპრესილი ფირფიტის ტიპის (sheet, wadding, bonded fiber). შიგთავსის სტრუქტურა თანაბრად განაწილებული, სიმაგრეების გარეშე. შიგთავსი არ უნდა გროვდებოდეს საბნის ცალკეულ ნაწილებში და არ უნდა გადაადგილდებოდეს ექსპლუატაციის ან რეცხვის დროს. შედეგად საბანი უნდა იყოს მსუბუქი, ჰიპოალერგიული, რბილი, ელასტიური და ფაფუკი, რომელიც უზრუნველყოფს თბოიზოლაციასა და კომფორტულ შეგრძნებას.

გ) გვირისტები - შიგთავსი და შალითა ერთმანეთზე უნდა იყოს დამაგრებული მთელ ზედაპირზე გვირისტების (quilting stitching) საშუალებით, გვირისტების მაქსიმალური დაშორება არაუმეტეს 25 სმ. ყველა საბანზე გვირისტები უნდა იყოს სწორი, ერთგვაროვანი და მტკიცე.

დადასტურება: მზა პროდუქტის ვიზუალური დათვალიერებით.

დ) საბნის წონა - საბნის საერთო წონა უნდა იყოს არანაკლებ 750 გრ და არაუმეტეს 900 გრ (დასაშვები ცდომილება ±10%).

დადასტურება: ფიზიკური გაზომვით.

ე) საბნის ზომები: 115 × 95 სმ (სიგრძე X სიგანე). ზომებში დასაშვებია ±3 სმ ცდომილება.

დადასტურება: ვიზუალური დათვალიერებით.

2.2. მოთხოვნები ნიმუშისა და ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის თაობაზე

პრედენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სატენდერო კომისიას შერჩევა-შეფასების ეტაპზე, სატენდერო კომისიის შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, უნდა წარუდგინოს შემოთავაზებული მზა საბნის 2 (ორი) ერთეული ნიმუში, რომელთაგანაც ერთი დარჩება სატენდერო კომისიასთან შესაფასებლად, ხოლო მეორე სატენდერო კომისიის აპარატის წარმომადგენელთან ერთად

გაიგზავნება საექსპერტო დაწესებულებაში კვლევისათვის. აღნიშნულიდან არაუგვიანეს 12 (თორმეტი) სამუშაო დღისა, სატენდერო კომისიასთან წარდგენილ უნდა იქნეს ექსპერტიზის დასკვნა (ორიგინალი/დედანი) ექსპერტიზა გავლილ საბანთან ერთად (საბნის დაუზიანებელი მორჩენილი ნაწილი), დალუქულ მდგომარეობაში ერთ (ერთიან) პაკეტად.

წარმოდგენილი დასკვნით უნდა დასტურდებოდეს საბნის შიგთავსის მასალის შემადგენლობის შესაბამისობა ზემოაღნიშნულ 2.1. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან.

პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საექსპერტო დაწესებულების შერჩევა მოხდება სატენდერო კომისიის მიერ, ხოლო ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს პრეტენდენტი.

ექსპერტიზაზე წარდგენილი უნდა იყოს მზა საბნის ნიმუში.

ლაბორატორიული კვლევა უნდა მოიცავდეს მხოლოდ შიგთავსის ბოჭკოს შემადგენლობის განსაზღვრას. საქსეპერტო კვლევისას გამოყენებული მეთოდი უნდა იყოს: ISO 1833 ან ეკვივალენტური სტანდარტი, რომლის შესახებ ინფორმაციასა და მითითებებს აუცილებლად უნდა შეიცავდეს ექსპერტიზის დასკვნა. ექსპერტიზის დასკვნის ორიგინალი/დედანი ექსპერტიზაგავლილ საბანთან ერთად აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქულ მდგომარეობაში, ერთიან პაკეტად. ექსპერტიზის დასკვნა უნდა შეიცავდეს საკვლევი საბნის ნიმუშის ფერად, მკაფიო და იოლად გარჩევად ფოტომასალას.

2.3. მოთხოვნები შეფუთვისა და ეტიკეტირების თაობაზე

საბანს უნდა ჰქონდეს მტკიცედ ჩაკერებული ეტიკეტი, სადაც მითითებული იქნება:

- საბნის შიგთავსის შემადგენლობა
- საბნის მოვლის ინსტრუქცია
- საბნის მწარმოებლის დასახელება.

ეტიკეტი უნდა იყოს მკაფიოდ წასაკითხი და არ უნდა სცილდებოდეს ექსპლუატაციისას.

საბანი უნდა იყოს შეფუთული. შეფუთვა უნდა იცავდეს პროდუქტს: მტვრისგან, ტენისგან, დაბინძურებისგან.

დაშვებულია შემდეგი ტიპის შეფუთვა:

- პოლიპროპილენის ან პოლიეთილენის პარკი
- მრავალჯერადი პლასტმასის zip ჩანთა
- მუყაოს ყუთი
- ან მათი კომბინაცია

შეფუთვაზე უნდა იყოს დატანილი წებვადი ეტიკეტი, დაბეჭდილი ან ჩასმული საინფორმაციო ბარათი, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- პროდუქტის დასახელება (მაგ.: საბანი)
- საბნის ზომები
- საბნის შიგთავსის ბოჭკოვანი შემადგენლობა
- საბნის მწარმოებლის დასახელება
- საბნის წარმოების ქვეყანა

3. ლოგინის გადასაფარებელი

ლოგინის გადასაფარებელი განკუთვნილია საბავშვო ბაღის საწოლებისათვის ყოველდღიური გამოყენების მიზნით. პროდუქტი უნდა იყოს ჰაერგამტარი, ჰიგიენური და უსაფრთხო ბავშვისთვის.

3.1. ტექნიკური მოთხოვნები

ა) ლოგინის გადასაფარებელში გამოყენებული ქსოვილის მასალის შემადგენლობა (Composition) - 100% ბამბა, ვაფლის ქსოვილი (100% cotton waffle fabric).

დადასტურება: ქსოვილის ბოჭკოს შემადგენლობა უნდა დადასტურდეს ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე, ISO 1833 სტანდარტის ან ეკვივალენტური მეთოდის შესაბამისად.

ბ) ლოგინის გადასაფარებელში გამოყენებული ქსოვილის მასალის გრამაჟი (Fabric mass / GSM) - ქსოვილის გრამაჟი უნდა იყოს: 220 გ/მ² ±5 გ/მ².

დადასტურება: ქსოვილის მასა ერთეულ ფართობზე უნდა განისაზღვროს ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე, ISO 3801 სტანდარტის ან ეკვივალენტური მეთოდის შესაბამისად.

გ) ლოგინის გადასაფარებელში გამოყენებული ქსოვილის მასალის შეკუმშვა რეცხვის შემდეგ (Shrinkage) - ქსოვილის შეკუმშვა რეცხვის შემდეგ უნდა იყოს არაუმეტეს: 7% სიგრძის მიმართულებით და არაუმეტეს 7% სიგანის მიმართულებით.

დადასტურება: ქსოვილის ზომითი ცვლილება უნდა განისაზღვროს ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე, ISO 5077 სტანდარტის ან ეკვივალენტური მეთოდის შესაბამისად. სარეცხი პროცედურა უნდა შესრულდეს ISO 6330 სტანდარტის ან ეკვივალენტური მეთოდის მიხედვით.

დ) ლოგინის გადასაფარებელში გამოყენებული ქსოვილის მასალის ქსოვის ტიპი (Weave) - ქსოვილის სტრუქტურა უნდა იყოს ვაფლის ტიპის (Waffle / Honeycomb weave). ქსოვილი უნდა იყოს ერთგვაროვანი ტექსტურის და არ უნდა შეიცავდეს დეფექტებს. უნდა იყოს ჰაერგამტარი და ბავშვებისთვის უსაფრთხო.

დადასტურება: ვიზუალური დათვალიერებით.

ე) ლოგინის გადასაფარებელში გამოყენებული ქსოვილის მასალის ნაკერის ხარისხი - ლოგინის გადასაფარებლის ნაპირები უნდა იყოს დამუშავებული ისე, რომ ქსოვილი არ იშლებოდეს, იყოს სუფთა, მტკიცე, ერთგვაროვანი და სწორად შესრულებული.

დადასტურება: მზა პროდუქტის ვიზუალური დათვალიერებით.

ზ) ზომები - სიგრძე: 140 სმ - 150 სმ, სიგანე: 105 სმ - 110 სმ), ზომებში დასაშვებია ±3 სმ ცდომილება.

დადასტურება: ზომები მოწმდება ვიზუალური დათვალიერებისა და გაზომვის გზით.

3.2. მოთხოვნები ნიმუშისა და ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის თაობაზე

პრედენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სატენდერო კომისიას შერჩევა-შეფასების ეტაპზე, სატენდერო კომისიის შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, უნდა წარუდგინოს შემოთავაზებული ლოგინის გადასაფარებლის (მზა საქონლის/პროდუქტის) ერთი ერთეული ნიმუში, ხოლო აღნიშნულიდან არაუგვიანეს 12 (თორმეტი) სამუშაო დღისა, სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინოს გამოყენებული ქსოვილის/მასალის ექსპერტიზის დასკვნა (დედანი/ორიგინალი).

საექსპერტო დაწესებულებას ირჩევს პრეტენდენტი. ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს პრეტენდენტი.

წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით უნდა დგინდებოდეს მზა პროდუქტში გამოყენებული ქსოვილის მასალის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობა ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან (დანართი N1-ის 3-ლი მუხლის 3.1. პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან).

ამასთან, ლაბორატორიული კვლევა ჩატარებული უნდა იქნას ზემოაღნიშნული სტანდარტებისა და მეთოდების გამოყენებით, რომლის შესახებ ინფორმაციასა და მითითებებს აუცილებლად უნდა შეიცავდეს ექსპერტიზის დასკვნა.

ექსპერტიზის დასკვნა აუცილებლად უნდა იქნეს გაცემული იმ ქსოვილის მასალაზე, რომლითაც იქნება დამზადებული საბოლოო მზა პროდუქტი (ლოგინის გადასაფარებელი). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიკვლევადობის ჯაჭვის უზრუნველსაყოფად, პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს (უზრუნველყოს), რომ ექსპერტიზის დასკვნას თან უნდა ახლდეს ექსპერტიზაგავლილი ქსოვილის ნაჭერი ზომით არანაკლებ 50X50 სმ (იმ ქსოვილის გაუნადგურებელი, დაუზიანებელი ნაწილი/ნარჩენი, რომელიც საკვლევი ნიმუშის სახით წარდგენილ იქნა ექსპერტიზაზე).

ამასთან, პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ექსპერტიზის დასკვნის ორიგინალი/დედანი ექსპერტიზაგავლილ ქსოვილთან ერთად აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქულ მდგომარეობაში, ერთიან პაკეტად.

პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ექსპერტიზის დასკვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას ექსპერტიზაზე წარდგენილი საკვლევი ნიმუშის შესახებ:

- საკვლევი ნიმუშის (ლოგინის გადასაფარებლის ქსოვილის მასალის) ფერადი, მკაფიო და იოლად გარჩევადი ფოტომასალა;
- საკვლევი ნიმუშის (ლოგინის გადასაფარებლის ქსოვილის მასალის) მწარმოებლისა და წარმოების ქვეყნის დასახელება;
- საკვლევი ნიმუშის (ლოგინის გადასაფარებლის ქსოვილის მასალის) მოდელის დასახელება (უნიკალური იდენტიფიკატორი - Article / Article No. / Fabric Code / Item Code / Product Code / Style No. / Design Code / Quality No. / Model No….), ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3.3. მოთხოვნები შეფუთვისა და ეტიკეტირების თობაზე

თითოეულ ლოგინის გადასაფარებელს უნდა ჰქონდეს მუდმივად დამაგრებული ნაჭრის იარლიყი (sewn-in label), რომელიც ჩაკერებული უნდა იყოს ნაკერში და შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ქსოვილის ბოჭკოვანი შემადგენლობა (მაგ.: 100% Cotton);
- მოვლის ინსტრუქცია - სარეცხი და მოვლის სიმბოლოები ან ტექსტური მითითება;
- მზა პროდუქტის მწარმოებლის დასახელება;
- მზა პროდუქტის ბრენდი და მოდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მზა პროდუქტის წარმოების ქვეყანა.

ნაჭრის იარლიყი უნდა იყოს დამზადებული რეცხვასა და ექსპლუატაციაზე მდგრადი მასალისგან, ისე რომ ინფორმაცია არ იშლებოდეს და არ ქრებოდეს გამოყენებისას.

ლოგინის გადასაფარებელი უნდა იყოს შეფუთული. შეფუთვა უნდა იცავდეს პროდუქტს მტვრისგან, ტენისგან, დაბინძურებისგან; დაშვებულია შემდეგი ტიპის შეფუთვა:

- პოლიპროპილენის ან პოლიეთილენის პარკი
- მრავალჯერადი პლასტმასის zip ჩანთა
- მუყაოს ყუთი
- ან მათი კომბინაცია

შენიშვნა:

ექსპერტიზის დასკვნის/დასკვნების გაცემის თარიღი უნდა იყოს არაუადრეს წინამდებარე კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადების თარიღისა.

ექსპერტიზის დასკვნაში/დასკვნებში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული წინამდებარე კონსოლიდირებული ტენდერის ნომერი